



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



12405/3-83/21 2 21122021

12405/3-83/21

21-12-2021

შპს "საქართველოს მელიორაციის"
გენერალურ დირექტორს
ბატონ დავით წითლიძეს

ასლი: საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ბატონ ოთარ შამუგიას

მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია, შპს "საქართველოს მელიორაციის" მიერ, მომდევნო 3 წლის განმავლობაში, სამცხე-ჯავახეთში დაგეგმილი პროექტების შესახებ ბიუჯეტებით.

გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანტონ ობოლაშვილი



N გ-4080
27/12/2021

4080-გ-2-202112271714



საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ანტონ ოზოლაშვილს

ასლი: საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ბატონო ანტონ,

თქვენი 21.12.2021 წლის N12405/3-83/21 წერილის საფუძველზე, გიგზავნით შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო ღონისძიებების ფარგლებში, მომდევნო სამი წლის განმავლობაში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაგეგმილი პროექტების შესახებ მოთხოვნილ ინფორმაციას, კერძოდ:

- 1) ახალციხის მუნიციპალიტეტში, ფერსა მუგარეთის მექანიკური სარწყავი სისტემა - სავარაუდო ღირებულება - 53 345 ლარი. დაწყება-დასრულება 2022 წელს.
- 2) ახალციხის მუნიციპალიტეტში, გიორგიშინდას მექანიკური სარწყავი სისტემა - სავარაუდო ღირებულება - 264 170 ლარი. დაწყება-დასრულება 2022 -2023 წლებში.
- 3) ახალციხის მუნიციპალიტეტში, კლდეწისის მექანიკური სარწყავი სისტემა - - სავარაუდო ღირებულება - 15 805 ლარი. დაწყება-დასრულება 2022 წელს.
- 4) ახალციხის მუნიციპალიტეტში, გურკელ-წრიოხის სარწყავი სისტემა - სავარაუდო ღირებულება - 107 000 ლარი. დაწყება-დასრულება 2022 წელს.
- 5) ახალციხის მუნიციპალიტეტში, კატარჯის სარწყავი სისტემა- სავარაუდო ღირებულება - 100 000 ლარი. დაწყება-დასრულება 2022 წელს.
- 6) ასპინძის მუნიციპალიტეტში, სარო-ხიზაბავრას მექანიკური სარწყავი სისტემა - სავარაუდო ღირებულება - 284 000 ლარი. დაწყება-დასრულება 2022 წელს.
- 7) ადიგენის მუნიციპალიტეტში, ხევაშენის სარწყავი სისტემა - სავარაუდო ღირებულება - 18 670 ლარი. დაწყება-დასრულება 2022 წელს.



8) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, დილისკა-პტენა-ჩუნჩხას მექანიკური სისტემის გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება - 1 500 000 ლარი. სავარაუდოდ დაიწყება 2024 წელს.

2022 წელს აგრეთვე იგეგმება ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული ტყემლანა-აწყურის და ადიგენის მუნიციპალიტეტში ფხერო-ენტელას N1 და N2 სატუმბი სადგურების მექანიკური მორწყვის სისტემების აღდგენა-რეაბილიტაციის მიზანშეწონილობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებების (ტ.ე.დ.) დამუშავება, რომელთა ფინანსურ-ეკონომიკური შეფასებების გათვალისწინებით, შემდგომში დაიგეგმება მათი რეაბილიტაციის ღონისძიებებიც.

პატივისცემით,

დავით წითლიძე



გენერალური დირექტორი

